

შპს „ეტალონი“

„ავჭალის“ ტორფის საბადოზე

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება

(ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. განძანის მიმდებარე ტერიტორია)

სკოპინგის ანგარიში

2022

სარჩევი

1	შესავალი	4
2	დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა.....	5
2.1	ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ	5
2.2	საბადოს მოკლე დახასიათება	9
2.3	დაგეგმილი საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლები და ტექნოლოგიური პროცესის აღწერა.....	9
2.4	მისასვლელი და შიდა საკარიერო გზები	13
3	დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივები	14
3.1	ნულოვანი ალტერნატივა/საქმიანობის საჭიროების დასაბუთება	15
3.2	ტექნოლოგიური ალტერნატივები	16
4	საქმიანობის განხორციელების რაიონის გარემოს ფონური მდგომარეობის ზოგადი აღწერა.....	17
4.1	გეოგრაფიული მდებარეობა	17
4.2	ბიომრავალფეროვნება.....	17
4.3	პროექტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არსებული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.....	18
4.4	ინფორმაცია პროექტით გათვალისწინებული ტერიტორიის მიმდებარედ არსებული დაცული ტერიტორიების შესახებ.....	19
4.5	გეოლოგიური პირობები	19
4.5.1	რაიონის გეოლოგიური აგებულება	19
4.5.2	თანამედროვე გეოდინამიკური პროცესები.....	22
5	ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების და მისი სახეების შესახებ, რომლებიც შესწავლილი იქნება გზშ-ის პროცესში	24
5.1	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიები	25
5.2	ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელება.....	25
5.3	საშიში გეოლოგიური მოვლენების განვითარების რისკი.....	26
5.4	ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედების რისკები	27
5.5	ზემოქმედება წყლის გარემოზე	28
5.6	ნიადაგის სტაბილურობასა და ხარისხზე ზემოქმედების დახასიათება.....	29
5.7	ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების დახასიათება.....	29
5.8	ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება.....	30

5.9	ვიზუალური ეფექტი და ლანდშაფტის ცვლილება	30
5.10	ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე.....	31
5.11	მიწის საკუთრება და გამოყენება	31
5.12	ზემოქმედება სოციალურ გარემოზე.....	31
5.13	ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე	32
5.14	კუმულაციური ზემოქმედება.....	32
6	ზოგად ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის	32
7	ინფორმაცია მომავალში ჩასატარებელი კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო მეთოდების შესახებ.....	35
7.1	ემისიები ატმოსფერულ ჰაერში, ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება	35
7.2	გეოლოგიურ გარემო, საშიში-გეოდინამიკური პროცესები.....	35
7.3	წყლის გარემო	35
7.4	ნარჩენები	36
7.5	სოციალური საკითხები	36
8	დანართი 1 - N10002591 ლიცენზია და სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის N1833/ს ბრძანება.....	37
9	დანართი 2 - გეოსაინფორმაციო პაკეტი.....	44
10	დანართი 3 - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი.....	48

1 შესავალი

2021 წლის 24 დეკემბერს, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის N1833/ს ბრძანების შესაბამისად, შპს „ეტალონზე“, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. განძანის მიმდებარე ტერიტორიაზე, „ავჭალის“ ტორფის მოპოვების მიზნით, გაცემული იქნა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია N10002591 (იხ. დანართი 1). აღნიშნული საბადოს მიწისა და სამთო მინაკუთვნის ფართობია 2 126 930 მ².

150 ჰექტარზე მეტ ტერიტორიაზე ტორფის მოპოვება განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ პირველი დანართის 27-ე პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) პროცედურას.

გზმ-ს პროცედურის პირველი ეტაპი სკოპინგის პროცედურაა და კანონის მოთხოვნის შესაბამისად, მომზადებული იქნა სკოპინგის ანგარიში.

სკოპინგის პროცედურა და სკოპინგის ანგარიშის შინაარსი განსაზღვრულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლებში. კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შედეგების დაგვარად ადრეულ ეტაპზე, სამინისტროს წარუდგინოს სკოპინგის განცხადება სკოპინგის ანგარიშთან ერთად“.

კანონის მოთხოვნის გათვალისწინებით, წინამდებარე სკოპინგის ანგარიში მომზადებულია საქმიანობის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე და ზემოაღნიშნული კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მოიცავს:

1. დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერას, რაც გულისხმობს:
 - ზოგად ინფორმაციას საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ GIS კოორდინატების მითითებით;
 - დაგეგმილი საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების (სიმძლავრე, მასშტაბი, საწარმოო პროცესი, საწარმოებელი პროდუქციის ოდენობა) შესახებ ინფორმაციას;
 - დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივებს;
2. ზოგად ინფორმაციას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების და მისი სახეების შესახებ, რომლებიც შესწავლილი იქნება გზმ-ის პროცესში, მათ შორის:
 - ინფორმაციას დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - ინფორმაციას შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით ადამიანის ჯანმრთელობაზე, სოციალურ გარემოზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ;

3. ინფორმაციას ჩასატარებელი საბაზისო/სამიეზო კვლევებისა და გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო მეთოდების შესახებ;
4. ზოგად ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის

საქმიანობის განმახორციელებელის შესახებ ინფორმაცია მოცემულია 1.1 ცხრილში.

ცხრილი 1.1. საკონტაქტო ინფორმაცია

ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელ კომპანიაზე	
კომპანიის დასახელება	შპს „ეტალონი“
საიდენტიფიკაციო კოდი	200013868
იურიდიული მისამართი	საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, გაზაფხულის ქ., N37
ფაქტიური მისამართი	საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, გაზაფხულის ქ., N37
ობიექტის მისამართი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. განძანის მიმდებარე ტერიტორია, „ავჭალის“ ტორფის საბადო
საქმიანობის სახე	სასარგებლო წიაღისეულის (ტორფის) მოპოვება
კომპანიის დირექტორი	ვაჟა მარგალიტაძე
ტელეფონი	595 54 40 46
ელ. ფოსტა	firmaetaloni@gmail.com

2 დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა ბვ

2.1 ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ

„ავჭალის“ ტორფის საბადო (გამოვლინება) მდებარეობს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფელ განძანის მიმდებარე ტერიტორიაზე. რაიონული ცენტრიდან (ნინოწმინდა) ჩრდილო-აღმოსავლეთით, 10-11 კილომეტრზე. (პირდაპირი მანძილი). ობიექტის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან მერყეობს 2045-2060 მ ფარგლებში. საბადოს GPS კოორდინატები მოცემულია 2.1.1. ცხრილში.

ლიცენზირებული ობიექტი მდებარეობს „მშრალი“ ჭაობის ტერიტორიაზე. ტერიტორია თავისუფალია ხე-მცენარეებისგან, შენობა-ნაგებობებისგან. ასეთი ობიექტების მშენებლობა არც ლიცენზირებული ობიექტის დამუშავებისას არ იგეგმება.

საბადო წარმოადგენს მომრგვალებული ხუთკუთხედთან მიახლოებული ფორმის ტერიტორიას, რომელიც ესაზღვრება აკკალაგელის ტბას და ჭაობს. საბადოს ზედაპირი ბრტყელია. საბადოს მთელს პერიმეტრზე გრუნტი ერთგვაროვანია და წარმოდგენილია ტორფით.

ცხრილი 2.1.1. საბადოს GPS კოორდინატები


N	X	Y	N	X	Y
1	389763,9518	4577690,8059	39	390982.1555	4577030.4392
2	389761,3384	4577708,2373	40	391013.8808	4576997.7225
3	389806,3366	4577755,1641	41	391038.6663	4576951.1268
4	389877,7184	4577828,5288	42	391062.6788	4576921.8298
5	389966.9459	4577881.0738	43	390930.9699	4576892.1997
6	390020.4823	4577886.0309	44	390943.4448	4576853.4483
7	390126.5638	4577874.1339	45	391107.5628	4576838.4840
8	390020.5766	4577851.3313	46	391115.0052	4576785.5595
9	390294.1131	4577771.0267	47	391065.4344	4576637.8386
10	390326.8298	4577674.8594	48	390974.2242	4576952.4436
11	390373.4263	4577584.6405	49	390899.8680	4576261.1864
12	390419.0314	4577544.9839	50	390841.3745	4576087.6026
13	390465.6280	4577529.1213	51	390817.6805	4576061.8261
14	390519.1644	4577522.1813	52	390731.3273	4576003.3325
15	390591.5378	4577524.1624	53	390625.2459	4575960.7017
16	390640.1172	4577545.9753	54	390526.1044	4575978.5472
17	390724.3912	4577585.2369	55	390428.9456	4576042.9892
18	390833.9289	4577654.0870	56	390428.9456	4576216.4869
19	390975.2167	4577799.5498	57	390161.2633	4576256.1438
20	391019.6668	4577799.3751	58	389861.8558	4576514.9030
21	392124.4420	4578023.3878	59	389652.6672	4576678.4866
22	391162.5421	4578144.0380	60	389498.9977	4576813.3191
23	391219.1039	4578273.6744	61	389464.2981	4576869.8298
24	391238.9322	4578219.1466	62	389502.9633	4576869.0486
25	391245.8720	4578170.5672	63	389539.0424	4577037.8190
26	391236.9494	4578079.3569	64	389559.1639	4577035.9608
27	391216.1297	4577970.3013	65	389553.3114	4577066.5378
28	391140.7820	4577633.2198	66	389597.1478	4577145.4434

29	391120.9538	4577633.2198	67	389652.6672	4577225.7480
30	391095.1769	4577520.1984	68	389707.1950	4577312.0013
31	391075.1875	4577312.3416	69	389757.7572	4577402.2200
32	391020.6848	4577328.6487	70	389772.6370	4577449.8080
33	391015.5874	4577267.4576	71	389766.6800	4577521.1898
34	391052.5461	4577245.5764	72	389759.4504	4577539.7271
35	391023.7950	4577204.9283	73	389768.7143	4577595.2911
36	390961.3358	4577134.5378	74	389779.2977	457764.0058
37	390951.4216	4577112.7267		S=2126930 მ ²	
38	390950.4302	4577081.9928		WGS1984	

საბადოდან უახლოესი დასახლებული პუნქტია სოფ. პატარა არაქალი, რომელიც მდებარეობს 3 კმ-ზე მეტ მანძილში. საბადოს სიახლოვეს არ ფიქსირდება სახელმწიფო ტყის ფონდის ან დაცული სტატუსის მქონე ტერიტორიები. საბადოს განთავსების სიტუაციური რუკა იხილეთ 2.1.1. რუკაზე.

ტორფის გამოვლინების სიახლოვეს გადის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული გრუნტის შიდა სასოფლო გზა და საქმიანობისთვის სატრანსპორტო პირობები ხელსაყრელია.

რუკა 2.1.1. საბადოს განთავსების სიტუაციური რუკა



2.2 საბადოს მოკლე დახასიათება

სსიპ “წიაღის ეროვნული სააგენტო”-ს მიერ გაცემულ გეოსაინფორმაციო პაკეტის შესაბამისად, (იხ. დანართი 2) 2 126 930 მ² ლიცენზირებულ ფართობში, გამოვლინების დამუშავების საშუალო სიღრმედ მიღებულია 1,25 მ. ჩატარებულია ობიექტის დეტალური მიება. ლიცენზირებულ ობიექტზე წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლები მარაგების და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით (A+B+C₁+C₂ და P) წიაღით სარგებლობის ობიექტზე წარმოდგენილია ტორფის A კატეგორიის 255 000 ტ ოდენობით. თანმდევი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები ობიექტზე არ ფიქსირდება.

ლიცენზირებული ობიექტი აგებულია თანამედროვე ჭაობის ტიპის ნალექებით, პროდუქტიული ფენა წარმოდგენილია ტორფით. დასამუშავებელი სასარგებლო წყება მიეკუთვნება მეორე საშუალო სირთულის კატეგორიას. ლიცენზირებულ ფართობზე გადახსნითი სამუშაოების ჩატარება არ არის საჭირო. ლიცენზირებულ ობიექტზე მიწის ნაყოფიერი ფენა არ არის წარმოდგენილი.

ჰიდროლოგიური თვალსაზრისით საბადოს დამუშავების სიღრმის (1,25 მ) ფარგლებში, არ არის მოსალოდნელი ადგილი ქონდეს ზედაპირული, არაღრმა გრუნტის წყლების მოძრაობას. წყლების არსებობა შესაძლებელია იყოს უხვი ნალექის პერიოდში, რაც განპირობებული იქნება ატმოსფერული ნალექებით და ზედაპირული (ჭაობის ფილტრაციული) წყლების არსებობით. აღნიშნული წყლები უწნევია. აქედან გამომდინარე, გამოვლინების ნედლეული არ მიეკუთვნება ნაწილობრივ წყლიან საბადოთა ჯგუფს. გრუნტის წყლის დონეები დამოკიდებულია ატმოსფერული ნალექების ინტენსივობაზე, შესაბამისად ისინი სეზონურად იცვლება.

როგორც უკვე აღინიშნა, დასამუშავებლად გამოყოფილ ფართზე, წიაღის ამოღება ნავარაუდევია 1,25 მ სიღრმემდე. კარიერის ტერიტორიის დამუშავება მოხდება ეტაპობრივად, კერძოდ, მოხდება სამთო მინაკუთვნის ნაწილებად/ფრაგმენტებად დაყოფა.

საბადოზე მოპოვებითი სამუშაოები დაიწყება ლიცენზიის პირობებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მომზადების შემდგომ და დასრულდება 2041 წლის 25 დეკემბრამდე.

საბადოზე სამთო მასის გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და გეოდინამიკური პირობები დამაკმაყოფილებელია და მოპოვებისას რაიმე სახის გართულება არ არის მოსალოდნელი.

2.3 დაგეგმილი საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლები და ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება განხორციელდება ღია კარიერული წესით, 5-10 მეტრიანი სპირაჯოების წინ წაწევით. სასარგებლო მასის ამოსაღებად გათვალისწინებულია ექსკავატორის გამოყენება. ჩამჩის ტევადობით 1.0-1.25 მ³. ავტოთვითმცლელელებში წიაღისეული ჩაიტვირთება ექსკავატორით.

კარიერზე მომუშავე ტექნიკის რიცხოვრივი შემადგენლობა განისაზღვრება პირდაპირი გათვლებით. სკოპინგის ეტაპზე არსებული ინფორმაციით, კარიერზე იმუშავენ:

- 2 ექსკავატორი;
- 1 ბულდოზერი;
- 4 ავტო-თვითმცლელი.

მოპოვებითი სამუშაოების ტექნოლოგიის გათვალისწინებით, სასარგებლო მასის ამოსაღებად გათვალისწინებულია ექსკავატორების გამოყენება. ტრანსპორტში (ავტო-თვითმცლელები) წიაღისეული ჩაიტვირთება ექსკავატორით. კარიერზე მისასვლელი გზების, საწარმოო მოედნების, გამომუშავებული ფართების ფსკერის მოსასწორებლად და სხვა დამხმარე სამუშაოებისათვის გამოყენებული იქნება ბულდოზერი. კარიერიდან მასალის გამოსატანად გამოყენებული იქნება არსებული შიდა-სასოფლო გზა.

ლიცენზირებული ტერიტორია (სამთო მინაკუთვნის ფარგლებში) განლაგების თავისებურებების გათვალისწინებით, ზედაპირის სპეციალურ მომზადებას არ საჭიროებს. არ არის საჭირო კაპიტალური გამონამუშევრის გაყვანა, რადგანაც სასარგებლო ფენის დამუშავება იწარმოებს ერთი საფეხურით და კარიერის ფერდობის ჩამოშლის საშიშროება არ იქნება.

წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავებისას, მიწისზედა და მიწისქვეშა ნაგებობების მოწყობა და სარგებლობა არ იგეგმება. ასევე არ იგეგმება: კუდსაცავების, გამოსატუტი მოედნების და სანაყაროების მოწყობა.

ობიექტის დამუშავებისას საწარმოო ნარჩენების წარმოქმნა არ არის მოსალოდნელი. სასარგებლო წიაღისეულის გატანა მოხდება მოპოვებისთანავე კომპანიის კუთვნილ საწარმოო ბაზაზე.

„ავჭალის“ ტორფის საბადო მდებარეობს სამხრეთ საქართველოს (ჯავახეთი) ვულკანურ, მაღალმთიან გორაკ - ბორცვიან ზეგანზე და მოიცავს მთა პოდჩანატენეს და მთა პატარა აბულს შორის არსებულ ჩადაბლების (ტაფობის). მოვაკებულ და დაჭაობებულ ტერიტორიას. ტერიტორია დაჭაობებულია და დაფარულია ბალახით.

საბადო დამიებულია დეტალურად A კატეგორიაში, სამიეზო ქსელი 100x100მ. სამიეზო სამუშაოები ჩატარებულია ზონდირების მეთოდით. აღებულია რიგითი და ტექნოლოგიური სინჯები. ლიცენზიით დადგენილი ტორფის მოსაპოვებელი რაოდენობა შეადგენს 255 000 ტონას. მოპოვების წლიური სიმძლავრეები განისაზღვრება ათვისების გეგმის შესაბამისად, რომელიც წარმოდგენილი იქნება გზმ-ის ეტაპზე.


ლიცენზირებული ობიექტის დამუშავებისას, კარიერის თავისებურებებიდან გამომდინარე, მასივსა და ნაყარში ქანების მდგრადობის ცვლილება, ასევე, კარიერის დაშრობის და დრენაჟის საჭიროება არ არსებობს. ასევე არ არის მოსალოდნელი კარიერის ფერდის დეფორმაციების ჰორიზონტალური და ვერტიკალური მდგენელების შეცვლა. არ ფიქსირდება დეფორმაციები ნაპრალების სახით, ასევე მეწყრული დეფორმაციები და არ აქვს ადგილი ქანების დაძვრას რღვევის ზედაპირის გასწვრივ. არ ფიქსირდება ნაყარი ქანებისა და კარიერის ძირის დაჯდომა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კარიერში მდგრადი მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით კარიერის ბორტის (საფეხურის) დახრის კუთხე განისაზღვრება 45° -ით.


ადგილმდებარეობა ხელსაყრელია და საბადოს განლაგება საშუალებას იძლევა ტორფის მოპოვება მოხდეს კარიერული წესით, ერთი საფეხურით.

საფეხურის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს: საამფეთქებლო სამუშაოების გამოყენების გარეშე მექანიკური ნიჩბის ტიპის ერთჩაამჩიანი ექსკავატორით რბილი ქანების დამუშავებისას – ექსკავატორის ჩამჩის მაქსიმალური სიმაღლეს. საბადოს გადახსნის სქემატური ჭრილი იხილეთ 2.3.1. ნახაზზე.

ნახაზი 2.3.1. საბადოს გადახსნის სქემატური ჭრილი.




ქვაბულის დამუშავების სქემატური ჭრილი



შენიშვნა:
1. ნახაზზე ზომები მოცემულია მეტრებში;

წიაღით სარგებლობის ობიექტიდან, მასალების მოპოვება არ იგეგმება წელიწადის უხვნალექიან და მზრალობის პერიოდში, რადგან ობიექტის კლიმატური პირობებიდან გამომდინარე შეუძლებელიცაა მოპოვებითი სამუშაოების წარმოება. გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან და ლიცენზირებული ობიექტის ტერიტორიის სპეციფიკურობიდან ობიექტის დამუშავების პერიოდში წყლის გაწმენდითი სამუშაოების ჩატარების საჭიროება არ არსებობს. შესაბამისად, არ არსებობს კარიერის ამოშრობის და წყალამოღვრის საჭიროება. საბადოს დამუშავების სქემა მოცემულია 2.3.2. ნახაზზე.

ნახაზი 2.3.1. საბაღოს დამუშავების სქემა




2.4 მისასვლელი და შიდა საკარიერო გზები

საკარიერო ფართობამდე არსებობს გრუნტის გზა, რომლის მოხრეშვით შესაძლებელია მისი გამოყენება. ამიტომ სპეციალური გზის მოწყობის სამუშაოების ჩატარება არ არის აუცილებელი. ტერიტორიაზე არსებული გზა და მოპოვებული ნედლეულის დასაწყობების ადგილი იხილეთ 2.4.1 რუკაზე.

მოპოვებული ტორფის ტრანსპორტირება განხორციელდება თვით მომპოვებელი ორგანიზაციის მიერ, საშუალოდ 5 კმ მანძილზე.

რუკა 2.4.1. საბადოს ტერიტორია, ტერიტორიაზე არსებული გზა და მოპოვებული ნედლეულის დასაწყობების ადგილი




საბადოს ტერიტორიაზე, შიდა საკარიერო გზის მოწყობა, თავად საკარიერო უბნის სწორი რელიეფის გამო ძირითადად მდგომარეობს მანქანების სავალი ნაწილის მდგრადი საფარის

მოსწორებაში. სამთო სამუშაოების განვითარების მიხედვით, შიდა გზები მოეწყობა (მოპოვებითი სანგრევის გადაადგილების მიხედვით).

საჭიროების შემთხვევაში ზედმეტი წყლები ასეთის არსებობის შემთხვევაში კარიერიდან მოცილებული იქნება წყალსატარი არხებით (იხ. ნახაზი 2.4.1.)

ნახაზი 2.4.1



3 დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივები

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის „ა.“ ქვეპუნქტის მიხედვით, სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ ინფორმაციას.

შპს „ეტალონის“ მიერ დაგეგმილი საქმიანობა წარმოადგენს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას. მოქმედი კანონის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე გაიცემა ლიცენზია, რომლითაც მკაცრად არის განსაზღვრული ლიცენზიით გათვალისწინებული საბადოს სამთო მინაკუთვნის კონტური და აღნიშნული კონტურების დარღვევა დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, საქმიანობის განხორციელების ტერიტორიების ალტერნატიული ვარიანტების განხილვა არარელევანტურია.

3.1 ნულოვანი ალტერნატივა/საქმიანობის საჭიროების დასაბუთება

როგორც ცნობილია, საქართველოში სამთო-მოპოვებითი საქმიანობა მნიშვნელოვანი ეკონომიკური საქმიანობაა, რომელიც მთელი რიგი ისეთი პოლიტიკური მიზნების მიღწევას უწყობს ხელს, როგორცაა: შემოსავლების გენერირება, სამუშაო ადგილების შექმნა და ინფრასტრუქტურის განვითარება. მსოფლიო ბაზრებზე, მსგავსი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის, რანჟირების მიხედვით საქართველოს საერთო საინვესტიციო კლიმატის თვალსაზრისით, საკმაოდ მაღალი ადგილი უკავია. ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს სამთო-მოპოვებითი სექტორისადმი ინტერესი გაიზარდა. არსებული შეფასებით, ექსპორტის 30 % წიაღისეულთანაა დაკავშირებული (დამუშავებული და ნახევრად დამუშავებული წიაღისეული) და მშპ-ში სექტორს შეაქვს მნიშვნელოვანი წილი. საქართველოს წიაღისეულის ბაზარზე მანგანუმის, სპილენძის და ოქროს მნიშვნელოვანი საბადოებია და აქ დიდი ინვესტიციებია დაბანდებული, შესაბამისად, სამთო-მოპოვებით მრეწველობაზე უარის თქმა უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე¹.

გარდა ამისა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მფლობელს, წიაღის მოპოვებასთან დაკავშირებით, ლიცენზიის პირობების შესაბამისად, შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული აქვს წიაღის ათვისების გეგმა და აღნიშნულ გეგმაში მითითებული სასარგებლო წიაღისეულის რაოდენობის მიხედვით ეკისრება კანონით დადგენილი წიაღით სარგებლობის გადასახადი. წიაღის მოპოვებაზე უარის თქმა, ანუ ნულოვანი ალტერნატივა ნიშნავს, ლიცენზიის მფლობელმა უარი განაცხადოს ლიცენზიით გათვალისწინებულ საქმიანობაზე, რაც ეწინააღმდეგება ლიცენზიის პირობებს და გამოიწვევს ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმებას.

აქვე გასათვალისწინებელია ისიც რომ, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აკრძალულია დასახლებული პუნქტების, სამრეწველო კომპლექსების, კომუნიკაციების, სამეურნეო და სხვა ობიექტების დაპროექტება და მშენებლობა, სანამ არ დადასტურდება, რომ მომავალი განაშენიანების ფართობზე არ არსებობს სასარგებლო წიაღისეულის საბადო (ტექნოგენური საბადოს გარდა) ან გამოვლინება. სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ფართობების განაშენიანება დასაშვებია, თუ განაშენიანების მსურველი წიაღისეულის მესაკუთრეს კომპენსაციის სახით გადაუხდის სასარგებლო წიაღისეულის იმ სახეობის საფასურს (შესაბამისი წიაღისეულით სარგებლობისათვის „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლის ოდენობით), რომლით სარგებლობასაც იგი ზღუდავს ან აფერხებს დაგეგმილი განაშენიანებით. თუ განაშენიანება ხორციელდება ლიცენზიით გათვალისწინებულ ფართობზე, ამ შემთხვევაში აუცილებელია ლიცენზიის მფლობელის თანხმობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში (ნულოვანი

¹ წყარო: „საქართველოს წიაღის შესახებ სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 9 დეკემბრის №2575 განკარგულება.

ალტერნატივა), საბადოს ტერიტორიის სხვა დანიშნულებით განვითარების შესაძლებლობა პრაქტიკულად შეზღუდულია.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიზნებისთვის, საქმიანობის განხორციელების ალტერნატივასა და ნულოვან ალტერნატივას შორის უპირატესობის დადგენის მიზნით, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური და ეკოლოგიური ფაქტორები.

საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გათვალისწინებით შესაძლებელია ითქვას, რომ ნულოვანი ალტერნატივა როგორც კომპანიის, ისე ქვეყნისთვის, შემოსავლების შემცირების თვალსაზრისით არამომგებიანი ალტერნატივაა და უარყოფით ხასიათს ატარებს.

რაც შეეხება სოციალურ ფაქტორს, საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, რაც ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ გარემოზე დადებით ზემოქმედებად უნდა შეფასდეს.

რაც შეეხება გარემოს დაცვას, უნდა აღინიშნოს, რომ საქმიანობის განხორციელება ზემოქმედებას მოახდენს ბუნებრივ გარემოზე, თუმცა მოსალოდნელი ზემოქმედება შესაძლებელია შემცირდეს შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა-გატარებით, ისე, რომ არ დაირღვეს თანაზომიერება სახელმწიფოსა და საზოგადოების გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს შორის.

საქმიანობის პროცესში, საქმიანობის განმახორციელებელი უზრუნველყოფს მოსალოდნელი რისკების სათანადო მართვას, მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით, გაატარებს შესაბამის შემარბილებელ და საკომპენსაციო ღონისძიებებს და დააწესებს მკაცრ კონტროლს აღნიშნული ღონისძიებების შესრულებაზე. ასეთ პირობებში, შესაძლებელი იქნება ბუნებრივ გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედებების მასშტაბების და გავრცელების არეალის მინიმუმამდე დაყვანა, რაც თავის მხრივ გაზრდის მოსალოდნელი დადებითი შედეგების ეფექტიანობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და წიაღის რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით, ნულოვანი ალტერნატივა მიუღებელ ალტერნატივად იქნა მიჩნეული და უპირატესობა საქმიანობის განხორციელების ალტერნატივას მიენიჭა.

3.2 ტექნოლოგიური ალტერნატივები

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ორი ძირითადი მეთოდია ცნობილი, წიაღის მოპოვება ღია კარიერული წესით და მიწისქვეშა მოპოვება. წიაღის მოპოვებისთვის მეთოდების შერჩევა დამოკიდებულია საბადოს სამთო-გეოლოგიურ პირობებზე და რაც მთავარია წიაღის ფენების მდებარეობაზე.

„ავჭალის“ ტორფის საბადოზე (გამოვლინება), ტორფის ფენა წარმოდგენილია ზედაპირიდან დაახლოებით 1.25 მ სიღრმეზე. მოცემულ შემთხვევაში, წიაღის მოპოვების ერთადერთი ტექნოლოგიური ალტერნატივაა ღია წესით მოპოვება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტორფის მოპოვება განხორციელდება ბურღვა-აფეთქების გარეშე.

4 საქმიანობის განხორციელების რაიონის გარემოს ფონური მდგომარეობის ზოგადი აღწერა

4.1 გეოგრაფიული მდებარეობა

ნინოწმინდის რაიონის ტერიტორიის ფართობი 1353,9 კმ² შეადგენს. იგი მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთის ვულკანურ ზეგანზე, ახალქალაქის პლატოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ხანჩალის ტბის აღმოსავლეთით, ზღვის დონიდან 1950-2200 მ სიმაღლეზე. მისი უდაბლესი წერტილია 1800 მ (ფარავნის ტბა), უმაღლესი — 3189 მ (მთა გოდორები). რაიონის სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარს წარმოადგენს. სამხრეთ საზღვარი ნიალისყურის ქედს მიჰყვება, რომელიც სომხეთს ესაზღვრება. ჩრდილოეთით - აბულ-სამსარისა და ჯავახეთის ქედების შემაერთებელი სერით წალკის რაიონისაგან არის გამოყოფილი. დასავლეთით - აბულ-სამსარის ქედით ახალქალაქის რაიონს, ხოლო აღმოსავლეთით კი ჯავახეთის ქედის თხემით - დმანისის რაიონს ემიჯნება.

ნინოწმინდის რაიონული ცენტრი მდებარეობს ქ. ნინოწმინდაში, რომელიც ახალციხიდან დაშორებულია 91 კმ-ით, თბილისიდან წალკის გავლით 161 კმ-ით, ხოლო ახალციხის გავლით 320 კმ-ით. ნინოწმინდის რაიონი 3 მთის მასივისგან შედგება (ალბაბა, თრიალეთი და აბულ-სამსარი). რელიეფი ნამარხი ვულკანებით და სიმაღლეებით ხასიათდება. რაიონი 7-8 ბალიან სეისმურ ზონაში მდებარეობს.

მუნიციპალიტეტი ცნობილია ტბათა სიმრავლით: ფარავანი, მადათაფა, ხანჩალი, სალამოს ტბა, ბულდაშენის ტბა და სხვა. ნინოწმინდაში ბევრია მიწისქვეშა წყლები, რაც ჯავახეთისთვის დამახასიათებელია. მუნიციპალიტეტი დანაწევრებულია პატარა მდინარეებითა და წყაროებით.

4.2 ბიომრავალფეროვნება

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი საქართველოს ერთ-ერთ ფლორისტულად უნიკალურ მხარეს წარმოადგენს. რეგიონის მცენარეულ საფარს მცირე კავკასიონისთვის დამახასიათებელი ბიომები და ჰაბიტატები ქმნის, რომლებიც მდიდარია რელიქტური, იშვიათი და ენდემური სახეობებით. ჯავახეთის ძირითადი ფლორისტული კომპლექსებია: ქსეროფიტული მცენარეული, მდელოს მცენარეული, წყალჭარბი მცენარეული და ტყის მცენარეული. მტკვრის

ხეობაში ტყე-სტეპურ და ნატყევეარ ლანდშაფტებს უჭირავს რუხი ყავისფერი და ყავისფერი ნიადაგები. მთის შუა სარტყელში გაბატონებულია ყომრალი ნიადაგები, რეგიონის ჩრდილო და სამხრეთ მთიანი კიდეების თხემების სარტყელი ხასიათდება ალპური ლანდშაფტებით, რომლებსაც უჭირავს მთა-მდელოს ნიადაგები.

ჯავახეთის ფლორა საერთო ჯამში მოიცავს 1900 სახეობამდე მცენარეს, საიდანაც 115 იშვიათ და ენდემურ სახეობას მიეკუთვნება (საქართველოს ფლორა, 1971-2011; შეთეკაური და ჭელიძე, 2016). აქედან, მთის ქვედა და შუა სარტყლების მცენარეულ ჰაბიტატებსა და ჭალის ტყეებში.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ფლორა შედგება ძირითადად ალპური ზონის მახასიათებლებით. უმეტესი ნაწილი უტყეოა, დაფარულია მთის და მდელო-ველის მცენარეულობით. ტბების ირგვლივ დაჭაობებულ ტაფობებში გავრცელებულია წყლისა და ჭაობის მცენარეულობა. 2200 მეტრზე მაღლა იწყება სუბალპური და ალპური მდელოები. ნინოწმინდაში გავრცელებულია სამკურნალო თვისებების მქონე მცენარეები: ჭინჭარი, პიტნა, გვირილა, ყოლო, ასკილი და კრაზანა.

ნინოწმინდა, ისევე, როგორც მთლიანად ჯავახეთი, ღარიბია ტყის საფარით. ადრე ჯავახეთის დიდი ნაწილი ტყეებით – ფიჭვნარით და არყნარით –ყოფილა დაფარული მაგრამ დღეისთვის მხოლოდ ნაკრძალის სახითაა შემორჩენილი ჭობარეთის მთის ჩრდილო-დასავლეთით და სამსარის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ბინადრობენ მთიანი ზონისთვის დამახასიათებელი ცხოველები და მღრღნელები: მელა, მგელი, კურდღელი, ზღარბი, მაჩვი, თრითინა, წავი, ტურა, თაგვი, ზაზუნა, თხუნელა, ვირთხა, ნუტრია და სკუნსი. იმის გამო, რომ ჯავახეთის ზეგანი მდიდარია ტბებით, წყალმცურავი ფრინველების სამყარო მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ 200-მდე სახეობის ფრინველი იყრის თავს, მათ შორის მიგრანტები, ზაფხულის ბინადრები, ბუდის მკეთებელი, აგრეთვე წყლის ფრინველები.

ველზე მოპოვებული ინფორმაციის და ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით ცხადი ხდება რომ ლიცენზირებული ტერიტორია წარმოადგენს ნაკლებ სენსიტიურ ჰაბიტატს, რადგან აქ არ გხვდება წითელ ნუსხაში შემავალი სახეობების დიდი (სიცოცხლის უნარიანი) პოპულაციები.

4.3 პროექტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არსებული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ

სამცხე-ჯავახეთის მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია: ვარძიის სამონასტრო კომპლექსი, თმოგვის ციხე, ხერთვისის ციხე, ზარზმის მონასტერი, საფარის მონასტერი და აღსანიშნავია აგრეთვე ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი თავისი უნიკალური მცენარეული საფარით.

ნინოწმნიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის როგორც მართლმადიდებლური, ასევე სომხური ეკლესიები ფოკაში, განძანში, სათხეში, როდიონოვკაში, დიდ გონდრიოში, თორიასა და სადამოში.

საერო ხასიათის ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია XII საუკუნის ხიდი სოფელ ყაურმაში, სათხესა და თორიას ციკლოპური ციხეები, „ქოროლის“ ციხის ნანგრევები ასფარაში. ლიცენზირებული ობიექტიდან 8 კმ-ის დაშორებით მდებარეობს განძანის ეკლესია.

ლიცენზირებული წიაღით სარგებლობის ობიექტის მიმდებარედ ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი არ ფიქსირდება.

4.4 ინფორმაცია პროექტით გათვალისწინებული ტერიტორიის მიმდებარედ არსებული დაცული ტერიტორიების შესახებ.

წიაღით სარგებლობის ობიექტის ტერიტორიიდან 15 კმ-ის რადიუსში დაცული ტერიტორია არ მდებარეობს.

4.5 გეოლოგიური პირობები

4.5.1 რაიონის გეოლოგიური აგებულება

საქართველოს ტერიტორია უწინარეს ყოვლისა იყოფა ოთხ ძირითად გეომორფოლოგიურ ზონად, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი გვიანდელკაინოზოური გეოლოგიური ისტორიის მიხედვით და ამ ისტორიიდან გამომდინარე სტრუქტურული და მორფოლოგიური თავისებურებებითაც.

განსახილველი რეგიონი მიეკუთვნება მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემას, ართვინ-ბოლნისის ზონის, ჯავახეთის ქვეზონის, ახალქალაქის ბლოკს. ტექტონიკური დარაიონების მიხედვით წარმოადგენს მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის ლოქი-ყარაბახის ზონის, გექთაფანის ქვეზონას.

რაიონის აგებულებაში მონაწილეობს მიო-პლიოცენური და მეოთხეული კონტინენტური ეფუზიური ლავური წარმონაქმნები. მძლავრი ლავური წარმონაქმნების ქვეშ მდებარეობს სუბსტრატის ნალექები, რომლებიც წარმოდგენილია შუა ეოცენური ზღვიური ვულკანოგენური წარმონაქმნებით. უღელტეხილის ფერდობებზე და ხეობებში, აგრეთვე ზოგიერთ დაბლობზე საკმაოდ ფართოდ არიან გავრცელებული ფხვიერი მეოთხეული ნალექები, რომელიც თავის მხრივ დაყოფილია რამდენიმე გენეტიკურ ტიპად.

პალეოგენური ასაკის შუა ეოცენური ნალექები წარმოდგენილია ანდეზიტებისა და დიაბაზ-პორფირიტების მძლავრი წყებით, რომელიც მორიგეობს ლავურ ბრექჩიებთან, ტუფებთან, ტუფობრექჩიებთან და ტუფოქვიშა-ქვებთან.

ნეოგენური სისტემა რეგიონში ფართოდ არის გავრცელებული და წარმოდგენილია მძლავრი ვულკანოგენ-დანალექი წყებით, რომელშიც კარგად არის შენარჩუნებული განმარხებული ფლორა. აღნიშნული წყება თავის მხრივ იყოფა სამ ნაწილად და აგებულია ერთმანეთთან მორიგე ტუფებით, კონგლომერატებით, ტუფობრექჩიებით, ანდეზიტებით, ანდეზიტო-დაციტებით და ბრექჩიებით.

ზედა პლიოცენ-ქვედა მეოთხეული სისტემა წარმოდგენილია ახალქალაქის წყებით, რომელიც აგებულია დოლერიტული ლავების განფენებით და მათთან მორიგე ტბიური ნალექებით. შუა და ზედა მეოთხეული ნალექები კი წარმოდგენილია მძლავრი ეფუზიური წარმონაქმნებით - პორფირული ანდეზიტების და ანდეზიტო-დაციტების ლავური განფენებით, ვულკანური წიდიით და წიდისებური ბრექჩიებით.

საკვლევი ტერიტორიის რეგიონი, ჯავახეთის მთიანეთის ვულკანური რელიეფი წარმოდგენილია რელიეფის ორი სრულიად განსხვავებული გეომორფოლოგიური ტიპით: ლავური პლატოების და მერიდიანული მიმართულების ქედებისა და ვულკანური კონუსებით. მათ ფორმირებაში წამყვანი როლი ვულკანიზმს, ტექტონიკურ მოძრაობებს და გეოლოგიურ აგებულებას ეკუთვნის. საკვლევ ტერიტორიაზე მორფოგრაფიულ მორფოგენეტიური ნიშნების მიხედვით გამოიყოფა შემდეგი მსხვილი გეომორფოლოგიური რაიონები:

1. ახალქალაქის პლატოს საშუალომთიანი ტალღობრივი ვაკის რელიეფი, ღრმად ჩაჭრილი ხეობებით, ტბათა ქვაბულებით და ტექტომორფული ფორმებით, განვითარებული ზედა პლიოცენ-ქვედა პლესიტოცენური ასაკის ანდეზიტ-ბაზალტურ და დოლერიტულ ლავებში;
2. აბულ-სამსარის ქედის მაღალმთიანი ვულკანური რელიეფი, გრავიტაციული და მყინვარული ფორმებით, განვითარებული ზედა მიოცენ-ქვედა პლიოცენური და ახალგაზრდა ასაკის ანდეზიტური, ანდეზიტ-დაციტურ და დაციტურ ლავებზე;
3. ჯავახეთის ქედის მაღალმთიანი ვულკანური რელიეფი ღრმად ჩაჭრილი ეროზიული ხეობებით, მყინვარული ფორმებით და მოვაკებული ზედაპირებით, განვითარებული ზედამიოცენ-ქვედა პლიოცენური და მეოთხეული ანდეზიტანდეზიტ-ბაზალტურ და დაციტურ ლავებზე;
4. ნიალისყურის ქედის საშუალო და მაღალმთიანი ტექტომორფული რელიეფი ეროზიულ-გრავიტაციული ფორმებით, განვითარებული ზედაპლიოცენ-ქვედა პლესიტოცენური ასაკის ანდეზიტ და ანდეზიტ-ბაზალტურ ლავებზე.

გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას ღებულობენ ახალქალაქის წყების (ზედა პლიოცენ-ქვედა პლესიტოცენი) დოლერიტული და ბაზალტური ლავები, მულდა კი ამოვსებულია ალუვიურ-ტბიური და სუფთა ტბიური ნალექებით.

მდ. ფარავნის ხეობის მარცხენა მხარეს სოფ. დიდისკას, ხოსპიოს, ვაჩიანსა და კიროვს შორის რამდენიმე კვ. კმ-ზე მდებარეობს ლავური და ალუვიურ-ტბიური ნალექებისგან

წარმოშობილი აკუმულაციური ვაკე, რომლის დალექვა უნდა მომხდარიყო პალეო “ფარავნის” გადაგუბვის შემდეგ დილისკა-ჩუნჩხას რაიონში.

იდეალურ ვაკეებს წარმოადგენენ ნატბეური ადგილები, მათი ქვაბულები, სადაც მოხდა ალუვიურ-დელუვიური ნალექების დალექვა და ახლო წარსულში ტბებით იყო დაკავებული. გარდა ნატბეური ვაკეებისა, ახალქალაქის პლატოს რაიონის ფარგლებში მრავალი ტბების აუზებია. აქ ორი ტიპის ტბები გამოიყოფა: ტბები, რომლებიც იკავებენ ლავების მიერ გადაგუბულ ქვაბულებს და ლავების ნაკადების ზედაპირებზე არსებულ ჩაღრმავებებში გაჩენილი ტბები.

ჯავახეთის ქედის დასავლეთ ფერდობის ძირში, 2000 მ აბს. სიმაღლეზე მდებარეობს მადატაფის დეპრესია, რომლის უდიდესი ნაწილი მადატაფის ტბას უკავია. ქვაბულის ძირი აგებულია დოლერიტებით, სანაპირო ხაზი უსწორმასწორო და შეჭრილ-შემოჭრილია, უბეები დაჭაობებულია. ლავის ნაკადების ზედაპირზე არსებულ ჩაღრმავებებში გაჩენილ ტბებს მიეკუთვნება ბულაშენის ტბა, რომლის ფართობი მნიშვნელოვნად არის შემცირებული და ტბა ზრესი (სპასკაია). ასეთივე წარმოშობისაა თითქმის ჭაობად ქცეული ვაჩიანის ტბა ახალქალაქის ვულკანური პლატოს ჩრდილო-ამოსავლური ნაწილი სოლივიტით არის შეჭრილი სამსარისა და ჯავახეთის ურთიერთპარალელურ ქედებს შორის. პლატოს ამ ნაწილს ლ. მარუაშვილი ახალქალაქის პლატოს კარწახ-ფარავნის ქვერაიონად მოიხსენიებს. ფარავნის მთათაშორისი დეპრესიის რელიეფის ჩამოყალიბებაში მთავარი როლი სამსარისა და ჯავახეთის ქედების ფერდობებიდან წამოსულ მეოთხეული ასაკის ლავურ ნაკადებს ეკუთვნის. მის აგებულებაში მონაწილეობას ღებულობენ შუა მეოთხეულის ანდეზიტ-დაციტები, ანდეზიტები. პლატოს ამ ნაწილის ტერიტორიაზე მდებარეობს რამდენიმე ვულკანური მთა (ცენტრი), რომელთაგან აღსანიშნავია სურპოგანესი, კარანტეპე და რამდენიმე უსახელო შლაკური კონუსი. გარდა რელიეფის დადებითი ფორმებისა, ფარავნის მთათა შორის დეპრესიაში რამდენიმე ამოქვაბული მდებარეობს, რომელთაგან აღსანიშნავია ფარავნის ქვაბული, რომლის ძირი ფარავნის ტბას უკავია.

ლიცენზირებული ობიექტი აგებულია თანამედროვე ჭაობის ტიპის ნალექებით, პროდუქტიული ფენა წარმოდგენილია ტორფით. მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი ფენისმაგვარი, ლინზისებრია. პროდუქტიული წყების გავრცელება ლიმიტირებულია ლიცენზირებული ფართობის პარამეტრებით.

მადნიანი სხეულის საშუალო სიმძლავრე შეადგენს 1,25 მ-ს. მადნიანი სხეულის წოლის ელემენტი თარაზულთან ახლოა.

საკვლევი ტერიტორიის რეგიონი ხასიათდება მომატებული სეისმურობით, რაზეც მეტყველებს მრავალრიცხოვანი მიწისძვრები, ზოგჯერ ძალიან ძლიერი და გამომწვევი სტიქიური უბედურებისა.

მიწისძვრების ეპიცენტრების უმეტესობა მოქცეულია შედარებით დაბალ ფერდობებზე აჭარათრიალეთის მთათა სისტემის სამხრეთ ნაწილში. საკვლევი ტერიტორიებზე უმეტესი

მიწისძვრების ეპიცენტრები განლაგებულია აბულ-სამსარის და კეჩუტის ქედების ვულკანების მერიდიანული რიგის გასწვრივ.

საკვლევი ტერიტორიის რეგიონის მაღალი სეისმურობა ხელს უწყობს მეწყერულგრავიტაციული პროცესების პერიოდულ გააქტიურებას. მიწისძვრებით გამოწვეული გეოდინამიკური “აღელვება” მნიშვნელოვანი კონტრასტულობით გამოიხატება ტექტონიკურ რღვევებს შორის მოქცეულ მორფოსტრუქტურულ ბლოკებში, განსაკუთრებით იქ სადაც მიმდინარეობს ნიშანცვლადი პულსაციური მოძრაობები.

საკვლევ ტერიტორიაზე გეოდინამიკური პროცესების ერთ-ერთ მთავარ მაპროვოცირებელ ფაქტორს წარმოადგენენ სეიმური ბიძგები (მიწისძვრები). როგორც ცნობილია სამიზნე არეალი მოქცეული 7-9 ბალიანი მიწისძვრების შესაძლო განვითარების ზონაში და შესაბამისად რეგიონში არსებული თითქმის ყველა მასშტაბური მეწყერების ჩამოყალიბება დაკავშირებულია აღნიშნულ ფაქტორთან.

4.5.2 თანამედროვე გეოდინამიკური პროცესები

რეგიონი, სადაც მდებარეობს საკვლევი ტერიტორია თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესების გამოვლინებასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო მხარეს წარმოადგენს. რეგიონის ტერიტორიაზე გამოვლენილ თანამედროვე გეომორფოლოგიურ პროცესებს შორის პირველ რიგში აღსანიშნავია: მეწყერი, გამოფიტვა, ეროზია და კლდეზვავები და ქვათაცვენები.

ჯავახეთის მთიანეთზე ხშირად გვხვდება ისეთი ადგილები, სადაც გამოფიტვის პირველადი პროდუქტები სრულიად სახეშეცვლილია და გადასულია ელუვიური წარმოშობის წვრილდისპერსიულ თიხებში კარგად განვითარებული ნიადაგური საფარი, რომელთა სიმძლავრე ზოგან 10მ-ს აღწევს. ამ ტიპის ელუვიური ნალექები განვითარებულია მთა მოლითზე, ნიალისყურის და ჯავახეთის ქედების თხემებზე და მათი ფერდობების მოვაკებულ ადგილებში.

ჯავახეთის მთიანეთის ვულკანური რელიეფის მაღლა აზიდული ქედები მოქცეულნი არიან ინტენსიურ მექანიკურ-ყინვითი გამოფიტვის და ჭარბი გრავიტაციის სფეროში, ხოლო პლატოები და ფერდობთა ძირები ჭარბი აკუმულაციის ზონაში. ხშირად მექანიკურ-ყინვითი გამოფიტვის პროდუქტების გადატანის ადგილზე რჩება პატარ-პატარა უარყოფითი ფორმები, რომელთა გაღრმავება მიმდინარეობს თანადათანობითი გამოფიტვით, მასში დაგროვებული მყარი ატმოსფერული ნალექებისა და მდნარი თოვლის წყლის მეშვეობით.

საკვლევი რეგიონის ტერიტორიის თანამედროვე რელიეფის ფორმირებასა და გარდაქმნაში წამყვანი როლი ეროზიას მიეკუთვნება. რელიეფის დანაწევრების ენერგია დამოკიდებულია ამგებელი ქანების ლითოლოგიაზე, წყლის მასაზე, წყლის მოძრაობის სიჩქარეზე და სიმძლავრეზე, რელიეფის დახრილობაზე, ტექტონიკურ მოძრაობებზე და ეროზიის ბაზისის მდებარეობაზე. ჯავახეთის მთიანეთზე მდინარეთა კვება ძირითადად ტბებისა და ლავის ქვეშ

ფორმირებული წყლის ნაკადების ხარჯზე ხდება, რომელთა განტვირთვა ახალქალაქის პლატოზე ქედების ძირებში, ლავური ნაკადების დაბოლოებაზე და ხეობათა კალთებზე მიმდინარებს.

ჯავახეთის მთიანეთის ვულკანური რელიეფის ეროზიული დანაწევრების ხარისხი მკვეთრად განსხვავდება საქართველოს სხვა რეგიონებისაგან. მისი დანაწევრების დაბალი პოტენციალი შეპირობებულია პირველ რიგში რელიეფის სიახალგაზრდავით და ამგები ქანების ეროზიისადმი შედარებით მაღალი მდგრადობით. ამ რეგიონის რელიეფის საბოლოო ფორმირება იწყება ზედა მეოთხეულიდან, როდესაც დასრულდა ვულკანური მოქმედებები. ლავური ნაკადების ზედაპირები დანაპრალიანების მაღალი კოეფიციენტებით ხასიათდება. ამიტომაც ჯავახეთის ზეგანზე ჰიდროგრაფიული ქსელის განვითარებას ახასიათებს ძლიერ დაბალი სიხშირის კოეფიციენტი, სწორედ ამიტომ დაბალია პლატოს ეროზიული დანაწევრების კოეფიციენტი.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფართობი იკავებს 813.5კმ² -ს, რომლის შემადგენლობაში შედის 34 დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქ. ნინოწმინდა. ნინოწმინდის ტერიტორია გეომორფოლოგიურად მოქცეულია ორი მნიშვნელოვანი ოროგრაფიული ერთეულის - სამსარისა და ჯავახეთის (კეჩუთის) მერიდიანალური მიმართულების ქედებს შორის. ამ რაიონის ტერიტორიის გეომორფოლოგიური თავისებურება მდგომარეობს მის ტექტონიკურ-ვულკანური რელიეფის ფორმირებაშიც და ალპური და პერიგლაციალური ლანდშაფტის ფართო გავრცელებაში, კლდოვანი დაკბილული თხემებით და ლოდნაროვანი კოლუვიონის გავრცელებით ქედების ქვედა კალთებზე და მათ ძირში. ამ ქედების აბს. სიმაღლეები მერყეობენ 2300-3285მ-ის საზღვრებში. მათი კალთები დასერილია მცირე მდინარეთა არახშირი ჰიდროგრაფიული ქსელით, რომელთა უმრავლესობა კანიონისებურ ხევაში გაედინება და გამოირჩევიან მრავალი წყალუხვი „ლავური ვოკლუზით“. ამ ორ ვულკანურ ქედებს შორის მერიდიანულად გაწოლილია ვულკანური ვაკე-ბორცვიანი ზეგანი 2000-2200მ აბს. აიმაღლეზე, რომლის ფართო კვარცხლბეკზე აზიდულია ბორცვების სახით ვუკლანური მასივები და მათ შორის განლაგებული სხვადასხვა ზომის ვულკანური ტბები, რომელთა შორის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც არის ხანჩალის და მადათაფის და სხვ. სტიქიური პროცესების საშიშროების რისკი - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სივრცეში 2000 წლისათვის დაფიქსირებული იყო მხოლოდ 3 მეწყრული სხეული, 1 - კლდეზვავი, 20 - ქვათაცვენების მუდმივად განახლებადი გრავიტაციული მოვლენები, მდინარეთა ნაპირების გარეცხვა 5.4 კმ-ზე და ტერიტორიის დატბორვები - 529 ჰა-ზე, ძირითადად ტბების გავრცელების არეალში. პერიოდულად სტიქიის საშიშროების ზონაში იმყოფება საავტომობილო გზები საერთო სიგრძით 33 კმ-ზე.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ საქართველოს მთიანეთი, რომელიც ბუნებრივი სტიქიით დაზიანებადობის ხარისხისა და საშიშროების რისკის მიხედვით რთულ რეგიონს განეკუთვნება. წინასაპროექტო შესწავლის შედეგად ლიცენზირებული ტერიტორიის

ფარგლებში საშიში გეოდინამიკური პროცესების თვალსაზრისით საყურადღებო უბნები არ გამოვლენილა და მოსალოდნელიც არ არის.

5 ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების და მისი სახეების შესახებ, რომლებიც შესწავლილი იქნება გზშ-ის პროცესში

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის, მე-3 პუნქტის მიხედვით სკოპინგის ანგარიში სხვა საკითხებთან ერთად უნდა მოიცავდეს ზოგად ინფორმაციას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების და მისი სახეების შესახებ, რომლებიც შესწავლილი იქნება გზშ-ის პროცესში, მათ შორის:

- ინფორმაციას დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაციას შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით ადამიანის ჯანმრთელობაზე, სოციალურ გარემოზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ;

წინამდებარე სკოპინგის ანგარიშში, გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენის მიზნით, განხილულია შემდეგი სახის ზემოქმედებები:

- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიები;
- ხმაურის გავრცელება;
- ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე და საშიში-გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკები;
- ზემოქმედება ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის გარემოზე;
- ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე, მათ შორის მცენარეულ საფარზე, ცხოველთა სახეობებზე და მათ საბინადრო ადგილებზე;
- ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე;
- ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე, დაბინძურების რისკები;
- ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება;
- ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება;
- ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე;
- ზემოქმედება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე, მათ შორის განსახლების და რესურსების შეზღუდვის რისკები;
- ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე;
- ზემოქმედება არსებულ ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე;
- ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედების რისკები.

5.1 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიები

დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობას, ასევე არ არის ხე-მცენარეების ჭრისა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის საჭიროება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების გავრცელება ძირითადად დაკავშირებული იქნება დაგეგმილ სამუშაოებში სამშენებლო ტექნიკის გამოყენებასთან. დაბინძურების წყაროებს წარმოადგენს სამშენებლო ტექნიკა და ტორფის ამოღების სამუშაოები. შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუარესება შეიძლება გამოიწვიოს მტვერმა და წვის პროდუქტებმა.

შესაძლო ზემოქმედების შემცირების მიზნით, კომპანია უზრუნველყოფს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას. უზრუნველყოფილი იქნება გამოყენებული მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობა და მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარეების დაცვა.

ტრანსპორტირების პროცესში ცხელ ან/და მშრალ კლიმატურ პირობებში ადგილი ექნება მტვრის ნაწილაკების წარმოქმნას, რომლის მინიმუმადე დასაყვანად ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს გზის მონაკვეთების პერიოდული დანამვა.

„ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N408 დადგენილების მიხედვით, ზდგ-ის ნორმები დგინდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების, ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის ყველა სტაციონარული წყაროსთვის (ობიექტისთვის).

იქიდან გამომდინარე, რომ ტერიტორიებზე არ იქნება განთავსებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროები, ზდგ-ის ნორმების დადგენა კანონით არ არის გათვალისწინებული. რაც შეეხება მოძრავი და არაორგანიზებული წყაროებიდან, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიებს, აღნიშნული ემისიები, რაოდენობრივად შეფასებული იქნება გზმ-ის ანგარიშში.

5.2 ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელება

მოპოვებითი სამუშაოების განხორციელების პროცესში, ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება დაკავშირებული იქნება ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული სატრანსპორტო მექანიზმების მუშაობასთან

ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედების ძირითადი რეცეპტორები იქნება ადგილობრივი მოსახლეობა, ცხოველთა სამყარო და მუშა პერსონალი.

მოპოვებითი ოპერაციებით გამოწვეული ხმაურის შეფასება ეფუძნება სხვადასხვა ტექნიკის ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი ხმაურის შესახებ უკვე არსებულ სტატისტიკურ

ინფორმაციას. პროცესში გამოყენებული მანქანა-დანადგარების შესაბამისი ექვივალენტური ხმაურის დონე (დბა) განისაზღვრება 85-105 დბა ფარგლებში.

ადგილობრივ მოსახლეობაზე ხმაურის გადამეტებით შესაძლო ზემოქმედების წყაროდ განხილული იქნება ასევე დასახლებული პუნქტების გავლით წიაღისეულის ტრანსპორტირება.

რაც შეეხება მოსალოდნელ ვიბრაციას, მოსალოდნელი ვიბრაცია, მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მიხედვით, ფასდება როგორც მე-2 კატეგორიის ზოგადი ვიბრაცია. მე-2 კატეგორიის ზოგადი ვიბრაცია ეწოდება ვიბრაციას, რომელიც გამოწვეულია სატრანსპორტო-ტექნოლოგიური დანადგარებით და რომელიც მოქმედებს ადამიანზე მის სამუშაო ადგილზე მანქანებში, რომლებიც მოძრაობენ საწარმოო შენობებში, სამრეწველო მოედნებზე, სამთო სანგრევებში სპეციალურად მოწყობილ ზედაპირებზე. სატრანსპორტო-ტექნოლოგიური ვიბრაციის წყაროებს მიეკუთვნება: ექსკავატორები (მათ შორის როტორული), სამრეწველო და სამშენებლო ამწეები, საგზაო მანქანები და საწარმოო ტრანსპორტი.

მოქმედების მიმართულების მიხედვით ვიბრაცია იყოფა კოორდინატთა ორთოგონალური სისტემის ღერძების მიმართულების შესაბამისად. ლოკალური ვიბრაციის მოქმედების არეალია კოორდინატთა სისტემის ორთოგონალური X_1 Y_1 Z_1 ღერძების გასწვრივ, სადაც X_1 ღერძი შემოწვდომის ადგილის (სახელურის, საჭის ბორბლის, სამართავი ბერკეტის, ხელში დაკავებული დასამუშავებელი დეტალის და სხვ) ღერძის პარალელურია, Y_1 ღერძი ხელისგულის პერპენ-დიკულარულია, ხოლო Z_1 ღერძი ძვეს X_1 ღერძის და ძალის მოდების ან მიწოდების მიმართულების (ან წინამხრის ღერძის მიერ, როცა ძალა არ არის მოდებული) მიერ წარმოქმნილ სიბრტყეში, ხოლო ზოგადი ვიბრაცია მოქმედებს კოორდინატთა ორთოგონალური სისტემის X_0 Y_0 Z_0 ღერძების გასწვრივ. სადაც X_0 (ზურგიდან მკერდისაკენ) და Y_0 (მარჯვენა მხრიდან მარცხნისაკენ) საყრდენი ზედაპირის პარალელურად მიმართული ჰორიზონტალური ღერძებია; Z_0 —ვერტიკალური ღერძია, რომელიც მიმართულია სხეულის საყრდენი ზედაპირის პერპენდიკულარულად იქ, სადაც სხეული კონტაქტშია იატაკთან ან დასაჯდომ ადგილთან.

გზმ-ის ეტაპზე შესწავლილი იქნება ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება და საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდება ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ასევე, მონიტორინგის ღონისძიებები.

5.3 საშიში გეოლოგიური მოვლენების განვითარების რისკი

გეოლოგიური კვლევის მიხედვით, ლიცენზირებული ობიექტი აგებულია თანამედროვე ჭაობის ტიპის ნალექებით, პროდუქტიული ფენა წარმოდგენილია ტორფით. მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი ფენისმაგვარი, ლინზისებრია. პროდუქტიული წყების გავრცელება ლიმიტირებულია ლიცენზირებული ფართობის პარამეტრებით. მადნიანი

სხეულის საშუალო სიმძლავრე შეადგენს 1,25 მ-ს. მადნიანინ სხეულის წოლის ელემენტი თარაზულთან ახლოა.

დასამუშავებელი სასარგებლო წყება მიეკუთვნება მეორე, საშუალო სირთულის კატეგორიას. ლიცენზირებულ ფართობზე გადახსნითი სამუშაოების ჩატარება არ არის საჭირო.

საბადოზე სამთო მასის გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და გეოდინამიკური პირობები დამაკმაყოფილებელია და მოპოვებისას რაიმე სახის გართულება არ არის მოსალოდნელი.

5.4 ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედების რისკები

სალიცენზიო ფართობზე განხორციელდა ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა, მომზადდა არქეოლოგიური დაზვერვის ანგარიშები, რომლებიც შეთანხმდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან (იხ. დანართი 3).

არქეოლოგიური დაზვერვის ანგარიშების მიხედვით, ტერიტორიის ზედაპირული დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მიწის ფართობზე არ დასტურდება ხილული არქეოლოგიური ობიექტი ან/და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. ასევე, საპროექტო არეალი არ ხვდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რაიმე სახის დაცვის ზონაში.

აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით, 3 კმ მანძილზე მდებარეობს „აბულის“ ციხე, ასევე, საპროექტო ტერიტორიის უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთის წერტილიდან, 600 მეტრის მოშორებით მდებარეობს არქეოლოგიური ობიექტი (სტატუსის გარეშე), ხოლო საპროექტო არეალის აღმოსავლეთით, 200 მ-ის მანძილზე ფიქსირდება არქეოლოგიური ობიექტი (იხ. რუკა 5.4.1.)


აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავჭალის ტბის გარშემო არაერთი ყორღანია დაფიქსირებული და ზოგიერთი მათგანი შესწავლილი.

მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე, ახალი არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის ალბათობა მაღალია, რასაც ადასტურებს რეგიონში სხვადასხვა დროს და ადგილას აღმოჩენილი არქეოლოგიური ობიექტები.

არქეოლოგიური ობიექტ(ებ)ის დაზიანება/განადგურების თავიდან აცილების მიზნით, თავდაპირველი მიწის სამუშაოების დაგეგმვა და წარმოება განხორციელდება არქეოლოგის მეთვალყურეობით.

სამუშაოთა მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, შეწყდება სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება შესაბამის უწყებას.

რუკა 5.4.1. საპროექტო ტერიტორია კულტ. მემკვიდრეობის ძეგლებთან მიმართებაში



5.5 ზემოქმედება წყლის გარემოზე

საპროექტო ტერიტორიასთან, უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტია ავჭალაგიოლის ტბა. ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება ძირითადად უკავშირდება სამუშაოების დროს ავარიულ შემთხვევებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოპოვებითი სამუშაოების შესრულების დროს მკაცრად გაკონტროლდება სანაპირო ზოლის დაცვის ღონისძიებები.

რაც შეეხება გრუნტის წყლების დაბინძურებას, ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით საბადოს დამუშავების სიღრმის (1,25 მ) ფარგლებში, არ არის მოსალოდნელი ადგილი ქონდეს ზედაპირული, არაღრმა გრუნტის წყლების მოძრაობას. წყლების არსებობა შესაძლებელია იყოს უხვი ნალექის პერიოდში, რაც განპირობებული იქნება ატმოსფერული ნალექებით და ზედაპირული (ჭაობის ფილტრაციული) წყლების არსებობით. აღნიშნული წყლები უწნევია. აქედან გამომდინარე, გამოვლინების ნედლეული არ მიეკუთვნება ნაწილობრივ წყლიან საბადოთა ჯგუფს. გრუნტის წყლის დონეები დამოკიდებულია ატმოსფერული ნალექების ინტენსივობაზე, შესაბამისად ისინი სეზონურად იცვლება.

პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, გრუნტის წყლების დებიტზე პირდაპირი ზემოქმედების რისკები არ არსებობს, არსებობს მხოლოდ მიწისქვეშა წყლების ხარისხის გაუარესების შესაძლებლობა, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს დაბინძურებული ატმოსფერული ნალექების გრუნტის ფენებში ჩაჟონვამ, რაც დაკავშირებული იქნება ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ გაუმართაობასთან ან საწვავის და ზეთების დაღვრასთან.

ნალექიან ამინდებში, კარიერში შესაძლებელია მოხდეს გრუნტის წყლების შემოდინება. გრუნტის წყლების შემოდინების შემთხვევაში, დაბინძურების რისკები დაკავშირებულია ნავთობპროდუქტების და სხვა ნივთიერებების დაღვრასთან და დამაბინძურებლების ღრმა ფენებში გადაადგილებასთან. კარიერში გრუნტის წყლების შემოდინება შესაძლოა მოხდეს 0,5-1 მეტრი სიღრმიდან.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ლიცენზირებული ობიექტის რელიეფი ვაკეა, სასარგებლო ნამარხი ჰორიზონტალურადაა ჩაწოლილი და ნაწილობრივ გაწყლიანებულია. ასეთი საბადოს დამუშავება შეიძლება განხორციელდეს, როგორც წყლის წინასწარი დაწვეით, ასევე წყლის ღონის დაუწვევლად.

კარიერის დამუშავება მოხდება ექსკავატორით, რომელიც განთავსდება საფეხურის ზედაპირზე და აღჭურვილი იქნება შებრუნებული ჩამჩით. გრუნტის წყლების დაბინძურების რისკების პრევენციის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ზედმეტი წყლები ასეთის არსებობის შემთხვევაში კარიერიდან მოცილებული იქნება წყალსატარი არხებით (იხ. ნახაზი 2.4.1.), ასევე, დაღვრის შემთხვევაში, დროულად მოხდება დაბინძურებულ გრუნტის მოხსნა და შესაბამისი მართვა.

გზმ-ის ეტაპზე, წყლის გარემოს დაცვის მიზნით, შემუშავდება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

5.6 ნიადაგის სტაბილურობასა და ხარისხზე ზემოქმედების დახასიათება

ლიცენზირებულ ობიექტზე მიწის ნაყოფიერი ფენა არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად, ნიადაგის სტაბილურობასა და ხარისხზე ზემოქმედების შესაძლებლობა არ არსებობს.

5.7 ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების დახასიათება

გამომდინარე იქედან, რომ ლიცენზირებული ობიექტის ფარგლებში არ არის წარმოდგენილი მცენარეულით დაფარული ტერიტორიები ზემოქმედება ფაუნაზე და ფლორაზე მინიმალურია.

გზმ-ის ეტაპზე დამატებით იქნება შესწავლილი ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო ზემოქმედების საკითხები და შემუშავდება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

5.8 ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება

პროექტით წარმოდგენილი საბადოს დამუშავების დროს არ არის გათვალისწინებული ქიმიური ნივთიერებების, ასაფეთქებელი მასალების და ადვილად აალებადი ნივთიერებების გამოყენება, გარდა ტექნიკის საწვავით გამართვის შემთხვევებისა, რომელსაც უზრუნველყოფს სპეციალური საწვავში ავტომობილი. ასევე, საბადოს დამუშავების პროცესში, ვინაიდან არ არის დაგეგმილი ქიმიური და ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენება, ტექნოლოგიურ პროცესში მოსალოდნელი არ არის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა.

სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას ადგილი ექნება მხოლოდ შემთხვევითი დაღვრების დროს. ნავთობპროდუქტების, ზეთების და სხვა ნავთობპროდუქტების დაღვრის რისკი შეიძლება დაკავშირებული იყოს მათი შენახვის პირობების დარღვევასთან, სატრანსპორტო საშუალებებიდან და ტექნიკიდან საწვავისა და ზეთების ჟონვასთან და სხვ.

მოპოვებითი სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება მოხდება სეპარირებულად და ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა/გადამუშავებას უზრუნველყოფენ შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორი კომპანიები.

საქმიანობის პროცესში, მოსალოდნელი სახიფათო ნარჩენების რაოდენობა არ აღემატება 120 კგ-ს და „ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი ვალდებულების რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის N 661 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2025 წლამდე საწარმო თავისუფლდება კომპანიის ნარჩენების მართვის შემუშავებისგან, თუმცა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის გათვალისწინებით, გზშ-ის მიზნებისთვის, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია ნარჩენების სახეების, მახასიათებლებისა და რაოდენობის შესახებ, ასევე ნარჩენების მართვის პრინციპების შესახებ.

5.9 ვიზუალური ეფექტი და ლანდშაფტის ცვლილება

მოპოვებითი სამუშაოების დროს ადგილი ექნება გარკვეულ ვიზუალურ-ლანდშაფტურ ზემოქმედებას, სატრანსპორტო ნაკადების ზრდის და მომუშავე ტექნიკის გამო.

მოპოვების ტერიტორიასა და მოსახლეობას შორის არსებული რელიეფის, სიმაღლეთა სხვაობისა და დაცილების მანძილების გათვალისწინებით, სამუშაოების წარმოების პროცესში, ადგილობრივ მოსახლეობაზე, ნეგატიური ვიზუალურ ეფექტს ადგილი არ ექნება

მოპოვებითი სამუშაოების დასრულების შემდეგ, კომპანიას დაგეგმილი აქვს ტერიტორიის მოსწორება.

5.10 ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე

როგორც უკვე აღინიშნა, სატრანსპორტო გზა გადის დასახლებულ ზონაში. სკოპინგის ეტაპზე არსებული მონაცემების მიხედვით, მადნის ზიდვას მოემსახურება დაახლოებით 4 ავტო-თვითმცლელი, რაც არ გამოიწვევს სატრანსპორტო ნაკადების მნიშვნელოვან გაზრდას.

სატრანსპორტო ოპერაციებთან დაკავშირებული ზემოქმედების რისკები შემდეგია:

- გზების საფარის ტექნიკური მდგომარეობის გაუარესება;
- სატრანსპორტო გზაზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევებით და ხმაურით წარმოქმნილი ზემოქმედების ზრდა;
- სატრანსპორტო ავარიებთან დაკავშირებული რისკები.

რისკების მინიმუმამდე შემცირების მიზნით შემუშავდება და გზშ-ის ანგარიშში იქნება წარმოდგენილი შემარბილებელი ღონისძიებები.

5.11 მიწის საკუთრება და გამოყენება

საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში მოქცეული არ არის სხვა პირების კერძო მფლობელობაში არსებული ნაკვეთები ან რაიმე ტიპის შენობა-ნაგებობები. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის განხორციელება მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე ნეგატიურ ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება. ამასთან, არ არსებობს ფიზიკური ან ეკონომიკური განსახლების რისკები.

5.12 ზემოქმედება სოციალურ გარემოზე

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რეგიონის სოციალური პირობების გაუმჯობესებაში. ამ კუთხით აღსანიშნავია პროექტის განხორციელებით მიღებული სარგებელი. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა გადასახადების სახით, დამატებითი თანხები შევა ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტში. ადგილობრივ ბიუჯეტში შესული თანხები მოხმარდება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და სხვადასხვა სოციალური პროექტების განხორციელებას. ეს ფაქტორიც დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლებზე და ცხოვრების პირობებზე.

ლიცენზირებული ობიექტის დამუშავებისას დაგეგმილია დაახლოებით 8-10 ადამიანის დასაქმება, მათ შორის იქნებიან ადგილობრივი თემის წარმომადგენლებიც.

როგორც აღინიშნა პროექტის ფარგლებში არსებობს ადგილობრივი მოსახლეობისთვის დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა, რაც დადებითად იმოქმედებს სოციალურ მდგომარეობაზე.

5.13 ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე

ადამიანთა (მოსახლეობა და პროექტის ფარგლებში დასაქმებული პერსონალი) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან არსებობს პირდაპირი რისკები.

პირდაპირი ზემოქმედება შეიძლება იყოს: სატრანსპორტო საშუალებების დაჯახება, ტრავმატიზმი სამშენებლო ტექნიკასთან მუშაობისას და სხვ. პირდაპირი ზემოქმედების პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანია უსაფრთხოების ზომების მკაცრი დაცვა და მუდმივი ზედამხედველობა. უსაფრთხოების ზომების დაცვა გულისხმობს:

- ✓ პერსონალს ჩაუტარდება ტრენინგები უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის საკითხებზე;
- ✓ მოეწყობა გამაფრთხილებელი, ამკრძალავი და მიმთითებელი ნიშნები;
- ✓ სატრანსპორტო ოპერაციებისას მაქსიმალურად დაცული იქნება უსაფრთხოების წესები;
- ✓ დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

5.14 კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც, როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად (რაც ქმნის კუმულაციურ ეფექტს) გაცილებით მაღალი და საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია.

აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, დაახლოებით 2000 მ რადიუსში არ არსებობს რაიმე სახის ინფრასტრუქტურა და არ მიმდინარეობს იგივე ტიპის საქმიანობა.

მოპოვებითი სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია მხოლოდ მადნის ტრანსპორტირების გზის გარკვეულ მონაკვეთში სატრანსპორტო ნაკადებით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედება, რაც შეფასებული იქნება გზმ-ის ანგარიშში.

6 ზოგად ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის

გარემოზე შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების მიზნით კომპანიას დაგეგმილი აქვს შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება სხვადასხვა მიმართულებებით. აღნიშნული ღონისძიებების შესახებ ზოგადი ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 6.1

ცხრილი 6.1

რეცეპტორი/ ზემოქმედება	პირველადი წინადადება შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ
ატმოსფერულ ჰაერში ემისიები	<ul style="list-style-type: none"> • მშრალ და ამავე დროს ქარიან ამინდებში, უზრუნველყოფილი იქნება სამანქანე გზების დანამვა; • გამოყენებული ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები უნდა აკმაყოფილებდნენ გარემოს დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებს, რისთვისაც საჭიროა მათი ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება სამუშაოს დაწყების წინ; • გამოყენებულმა სატრანსპორტო ტექნიკამ უნდა იმოდრასო ოპტიმალური სიჩქარით (განსაკუთრებით გრუნტიან გზებზე). • უნდა მოხდეს მანქანების ძრავების ჩაქრობა ან მინიმალურ ბრუნზე მუშაობა, როცა არ ხდება მათი გამოყენება; • საჩივრების დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება.
ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება	<ul style="list-style-type: none"> • უზრუნველყოფილი იქნება მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობა. ყოველი სამუშაო დღის დაწყებამდე შემოწმდება მანქანა-დანადგარების ტექნიკური მდგომარეობა; • საჭიროების შემთხვევაში პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება დაცვის საშუალებებით (ყურსაცმები); • საჩივრების შემოსვლის შემთხვევაში მოხდება მათი დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება, ზემოთხამოთვლილი ღონისძიებების გათვალისწინებით.
ნარჩენების წარმოქმნა და მათ მართვასთან დაკავშირებული რისკები	<ul style="list-style-type: none"> • საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება მუნიციპალური სამსახურის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე; • სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ერთმანეთში შერევის თავიდან აცილების მიზნით, შემოღებული იქნება ნარჩენების სეგრეგაციის სისტემა; • აკრძალული იქნება: სახიფათო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება; ნარჩენების შეგროვება კონტეინერის გარეთ; მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში სახიფათო ნარჩენების მოთავსება; თხევადი სახიფათო ნარჩენების შეგროვება და დასაწყობება ღია, ატმოსფერული ნალექებისგან დაუცველ ტერიტორიაზე; სახიფათო ნარჩენების შესაბამისი ნებართვის მქონე ინსინერატორის გარეთ დაწვა; სახიფათო ნარჩენების

	<p>საკანალიზაციო სისტემაში, მიწისქვეშა ან/და ზედაპირულ წყლებში ჩაშვება;</p> <ul style="list-style-type: none"> • ნარჩენების მართვისათვის გამოყოფილი იქნება სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი; მოხდება პერსონალის ტრენინგი ნარჩენებთან დაკავშირებულ საკითხებზე.
<p>ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე</p>	<ul style="list-style-type: none"> • პერსონალის სწავლება და ტესტირება ჯანმრთელობის დაცვის და პროფესიული უსაფრთხოების საკითხებზე; • პერსონალის სპეციალური ტანსაცმლის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა და მათი გამოყენების კონტროლი; • ნარჩენების სწორი მართვა; • ჯანმრთელობისათვის სახიფათო უბნების არსებობის შემთხვევაში შესაბამისი გამაფრთხილებელი, მიმითითებელი და ამკრძალავი ნიშნების დამონტაჟება; • მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა; • სატრანსპორტო ოპერაციებისას უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვა, სიჩქარეების შეზღუდვა; • სამუშაო უბნებზე უცხო პირთა უნებართვოდ ან სპეციალური დამცავი საშუალებების გარეშე მოხვედრის და გადაადგილების კონტროლი; • ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების, ხმაურის და ვიბრაციის გავრცელების რისკების მინიმუმის მიზნით დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების კონტროლი.
<p>ზედაპირული და გრუნტის წლები</p>	<ul style="list-style-type: none"> • მანქანა/დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა; • მანქანა/დანადგარების და პოტენციურად დამაბინძურებელი მასალების განთავსება ზედაპირული წყლის ობიექტიდან არანაკლებ 50 მ დაშორებით, ასევე მუდმივი კონტროლის და უსაფრთხოების ზომების გატარება წყლის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად; • მასალების და ნარჩენების სწორი მენეჯმენტი; • სამუშაოს დასრულების შემდეგ ყველა პოტენციური დამაბინძურებელი მასალის გატანა; • საწვავის/საპოხი მასალის დაღვრის შემთხვევაში დაღვრილი პროდუქტის ლოკალიზაცია/გაწმენდა; • პერსონალის ინსტრუქტაჟი.

7 ინფორმაცია მომავალში ჩასატარებელი კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო მეთოდების შესახებ

გზშ-ს ანგარიშის მომზადების პროცესში განხორციელდება საბადოს ტერიტორიის დამატებითი დათვალიერება, რაც მოიცავს როგორც სავალე სამუშაოებს, ისე მონაცემების პროგრამულ დამუშავებას. ამასთანავე გათვალისწინებული და გაანალიზებული იქნება სამუშაოების შემდგომ ეტაპებზე დაზუსტებული ცალკეული საკითხები. კვლევების პროცესში ჩართული იქნება სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტები, გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია შესაბამისობაში იქნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

ქვემოთ განხილულია ის საკითხები, რომლებსაც გზშ-ს ეტაპის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საქმიანობის სპეციფიკიდან და გარემოს ფონური მდგომარეობიდან გამომდინარე.

7.1 ემისიები ატმოსფერულ ჰაერში, ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება

გზშ-ს ეტაპზე დაზუსტდება ემისიების მოძრავი წყაროების (მანქანა-მექანიზმების) რაოდენობა, ასევე ხმაურის და ვიბრაციის წყაროების მახასიათებლები; განისაზღვრება საანგარიშო წერტილები, რომლის მიმართაც განხორციელდება ხმაურის და ვიბრაციის დონეების გაანგარიშება. მიღებული შედეგების მიხედვით განისაზღვრება საქმიანობის პროცესში გასატარებელი შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა.

7.2 გეოლოგიურ გარემო, საშიში-გეოდინამიკური პროცესები

გზშ-ს ეტაპებზე დამატებით მოხდება არსებული გეოლოგიური გარემოს შესწავლა და გეოლოგიური პირობების შეფასება. გეოლოგიური პირობების აღწერილობის საფუძველი იქნება საპროექტო ტერიტორიებზე ჩატარებული სამიეზო-გეოლოგიური კვლევა, გეოფიზიკური კვლევებისა და მოძიებული ლიტერატურულ-ფონდური მასალების მონაცემები.

ყურადღება გამახვილდება საშიში-გეოდინამიკური პროცესების შესწავლაზე. ასევე შეფასდება ეროზიული პროცესების განვითარების რისკები.

7.3 წყლის გარემო

გზშ-ს ეტაპზე წყლის გარემოზე ზემოქმედების შეფასების მხრივ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება სანიაღვრე წყლების დაბინძურებისგან დაცვის საკითხებზე.

დეტალური შეფასების პროცესში დაზუსტებული იქნება წყლის ხარისხზე ზემოქმედების წყაროები, მათი განლაგება და საპროექტო მახასიათებლები. აღნიშნულის საფუძველზე

შემუშავდება კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებები და გარემოსდაცვითი მონიტორინგის პროგრამა.

7.4 ნარჩენები

გზშ-ს ეტაპზე დაზუსტდება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა და მათი მართვის საკითხები. გარდა აღნიშნულისა, განისაზღვრება მოსალოდნელი ნარჩენების სახეები და მიახლოებითი რაოდენობები, რომელთა მართვა განხორციელდება კანონის შესაბამისად. ზემოაღნიშნული ინფორმაცია აისახება გზშ-ს ანგარიშში.

7.5 სოციალური საკითხები

სოციალურ გარემოზე ზემოქმედების განხილვისას გზშ-ს შემდგომ ეტაპზე ყურადღება დაეთმობა შემდეგ საკითხებს: მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობა და ზემოქმედება მათი ცხოვრების პირობებზე, ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, სატრანსპორტო ნაკადებზე.

8 დანართი 1 - N10002591 ლიცენზია და სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის N1833/ს ბრძანება.



საქართველო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№ 10002591

2021 წლის „ 24 “ „ დეკემბერი “
(ლიცენზიის უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი)

გაცემულია _____ შპს „მთაწონი“-ზე, _____ ს/ნ 200 013 868;

(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / ვინაობა, მონაცემები მის შესახებ)

საფუძველი: _____
სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 24 დეკემბრის №1833/ს
ბრძანება.

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი: _____
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბანაკანის მიმდებარე ტერიტორიაზე,
„აკაღის“ ტორფის საბადო;
K-38-88-B-რ K-38-100-A-6 ნომენკლატურის ტოპოკუპა (ლიცენზიის განუყოფელი ნაწილი);
მიწისა და სამთო მინერალის ფართობი - 2 126 930 კვ. მეტრი.

მოსაპოვებელი რესურსის სახეობა და მოცულობა: _____

„აპკალის“ ტორვის ჯამური მოპოვება - 255 000 ტონა;

სალიცენზიო პირობები: _____

ბანსაგვრულია სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 24 დეკემბრის №1833/ს ბრძანებით.


ლიცენზიის მოქმედების ვადა: — 20 — წელი, 24.12.2021 — დან 25.12.2041 მდე

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს
უფლებამოსილი წარმომადგენელი

გავეცანი ლიცენზიის პირობებს და
ვიღებ პასუხისმგებლობას მათ
შესრულებაზე.



(ხელმოწერა)

(ხელმოწერა)
ბ.ა

დამკვეთი: სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტო
დამამზადებელი: შპს „ქეჩერა“
სუს-ს რეგისტრაციის № 24-5288



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო



KA020103502629321

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30

ბრძანება № 1833/ს

24 / დეკემბერი / 2021 წ.

**შპს „ეტალონი“-ზე (ს/ნ 200013868) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების
ლიცენზიის გაცემის შესახებ**

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების, „სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 და 2021 წლის 15 ოქტომბრის №1436/ს ბრძანებების, 2021 წლის 18 ნოემბერს ჩატარებული ელექტრონული აუქციონის (აუქციონის შედეგად მე-5 ობიექტზე გამარჯვებული გახდა შპს „ეტალონი“ (განაცხადის №416OTH521), ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ტორფის ჯამური მოცულობა 255 000 ტონა, ლიცენზიის მოქმედების ვადა 20 წელი, ლიცენზიისთვის გადახდილი ფასი 61451.50 ლარი) შედეგებისა და სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გაიცეს შპს „ეტალონი“-ზე (ს/ნ 200013868) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. განძანის მიმდებარე ტერიტორიაზე, „ავჭალის“ ტორფის მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია 20 წლის ვადით შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) დაუწესდეს მინისა და სამთო მინაკუთვნი (ფართობი 2 126 930 კვ.მ) დანართით განსაზღვრული X და Y კოორდინატების ფარგლებში;

ბ) ტორფის (A კატეგორია) ჯამური მოცულობა ლიცენზიის მოქმედების პერიოდში განისაზღვროს 255 000 ტონის ოდენობით;

გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით;

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის დაწყებამდე უზრუნველყოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, სამუშაოების დაწყებამდე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააჩიროს შიდა სასოფლო გზები. ხოლო დაზიანების

თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;

ი) ექსპლუატაციისას მენყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;

კ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;

ლ) ლიცენზიის მფლობელმა დაიცვას „ტექნიკური რეგლამენტების - ნიალით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიშის) წესის, ნიალით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტის, ნიალით სარგებლობის ობიექტის დამუშავების ტექნოლოგიური სქემისა და ნიალისეულის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№ 1-01, 1-02, 1-03, 1-04) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №271 და „კარიერების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 450 დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიალისეულის მოპოვების დაწყებამდე შეადგინოს ნიალით სარგებლობის საპროექტო დოკუმენტაცია ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტში მითითებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად;

ნ) ლიცენზიის მფლობელმა ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 მაისამდე ლიცენზიის გამცემ ორგანოში წარადგინოს წერილობითი ანგარიშგება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ;

თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ამ ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემ ორგანოში დასამტკიცებლად წარადგინოს სასარგებლო წიალისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“, „წყლის შესახებ“ და „წიალის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ასევე, „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული პირობები (№ 440, 31.12.2013 წ.). ამასთან, „წიალის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნიალით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს

ჟ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას ასევე სსიპ - წიალის ეროვნული სააგენტოს სასარგებლო წიალისეულის მართვის დეპარტამენტის 2021 წლის 9 ივლისის № 1102 სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე დადგენილი პირობები.

2. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს სალიცენზიო მონობის გაცემის უზრუნველყოფა ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. ბრძანება გასაცნობად გადაეცეს დაინტერესებულ პირს.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2).

დანართი (3 გვ.)

დამტკიცებულია
სსიპ - წილისეროვნული სააგენტოს უფროსის
2021 წლის "24/12" № 1833/ს ბრძანებით



ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. განმანის მიმდებარე ტერიტორიაზე, „ავჭალის“
ტორფის ადგილმდებარეობის შესახებ X და Y კოორდინატები

№	X	Y
1	389763.9518	4577690.8059
2	389761.3384	4577708.2373
3	389806.3366	4577755.1641
4	389877.7184	4577828.5288
5	389966.9459	4577881.0738
6	390020.4823	4577886.0309
7	390126.5638	4577874.1339
8	390240.5766	4577851.3313
9	390294.1131	4577771.0267
10	390326.8298	4577674.8594
11	390373.4263	4577584.6405
12	390419.0314	4577544.9839
13	390465.6280	4577529.1213
14	390519.1644	4577522.1813
15	390591.5378	4577524.1642
16	390640.1172	4577545.9753
17	390724.3912	4577585.2369
18	390833.9289	4577655.0870
19	390975.2167	4577799.5498
20	391019.6668	4577923.3751
21	391124.4420	4578023.3878
22	391162.5421	4578144.0380
23	391219.1039	4578273.6744
24	391238.9322	4578219.1466
25	391245.8720	4578170.5672
26	391236.9494	4578079.3569
27	391216.1297	4577970.3013

72	389759.4504	4577539.7271
73	389768.7143	4577595.2911
74	389779.2977	4577640.0058
WGS 1984		

Հիշելու արդար, Ֆեդոր,
դու հիշես քեզ:


Երբ որևէ օր
հարցիր ինձ

հարցիր ինձ 3 Կ

595544046

3 Կ

24.12.2021 Ն



K-38-88-B-1 K-38-100-A-6
 Գծանշանային հատված

Նպաստ էր Կարմիր հողատիրության Կառավարման
 Կենտրոնի կողմից հաստատվելու և
 Կառավարման Կենտրոնի կողմից հաստատվելու
 Կառավարման Կենտրոնի կողմից հաստատվելու


N	X	Y	N	X	Y
1	389763.9518	4577690.8039	39	390982.1555	4577030.4392
2	389761.3384	457708.2373	41	391013.8808	4576997.7226
3	389806.3366	457775.1641	42	391062.6788	4576921.8298
4	389877.7184	4577828.8288	43	390930.9893	4576892.1977
5	389968.9459	457781.0738	44	390943.4448	4576853.4483
6	390020.4823	457788.0308	45	391107.5628	4576838.4840
7	390126.5638	4577874.1339	46	391115.0052	4576785.8586
8	390240.5766	4577891.3313	47	391095.4244	4576542.3386
9	390294.1131	457771.0267	48	390974.2242	4576452.4438
10	390326.8298	4577674.8594	49	390939.8890	4576251.1984
11	390373.4283	457764.6406	50	390841.3745	4576087.8028
12	390419.0314	4577644.8839	51	390817.6805	4576051.8281
13	390466.6280	4577528.1213	52	390731.3273	4576003.3226
14	390519.1644	4577522.1813	53	390626.2459	4575880.7017
15	390591.6378	4577624.1642	54	390526.1044	4575878.6472
16	390640.1172	4577646.8753	55	390428.9456	4576042.9892
17	390724.3912	4577686.2389	56	390221.7397	4576216.4888
18	390833.9289	4577656.0870	57	390161.2633	4576265.1436
19	390976.2167	4577793.5498	58	389861.8868	4576514.9030
20	391019.6668	4577923.3751	59	389662.8672	4576676.4886
21	391124.4420	4578023.3878	60	389496.9977	4576813.3191
22	391162.6421	4578144.0390	61	389404.2891	4576893.8298
23	391219.1039	4578273.6744	62	389302.9633	4576986.0486
24	391238.9322	4578219.1486	63	389259.0242	4577037.8190
25	391246.8720	4578170.5672	64	389199.1639	4577036.9508
26	391236.9494	4578079.3669	65	389153.3114	4577066.5378
27	391216.1297	4577970.3013	66	389097.1478	4577146.4434
28	391140.7820	4577833.2196	67	389062.8672	4577227.4890
